ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტსა

და

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტს შორის

მემორანდუმის მხარეები

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი, ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ნუგზარ ყავლაშვილის სახით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ თინათინ კუტუბიძის სახით, რომლებიც შემდგომში იწოდებიან „მხარეებად", ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავების და დანერგვის სფეროში, ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. მხარეები ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას გამოსაკვლევი დაავადებების და მკურნალობის პროცესის შესახებ (სამედიცინო კლინიკური მონაცემები, სამკურნალო პრეპარატები, მკურნალობის შედეგები) ერთი მხრივ, და აღნიშნული პრეპარატების ეფექტურობის დადგენაში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების და მკურნალობის ეფექტურობის პროგნოზირებისთვის განკუთვნილი ინტელექტუალური სისტემის შემუშავების შესახებ, მეორე მხრივ;

1.2. მხარეები ერთობლივი სამეცნიერო კვლევების შედეგებს წარადგენენ სამეცნიერო ფორუმებზე და/ან გამოაქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომების სახით;

1.3. მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ პერსპექტივაში შემუშავებული სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის დანერგვასა და მის გამოყენებაში როგორც პედაგოგიურ პროცესში, ასევე უშუალოდ დაავადებების მკურნალობის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 2

2.1. მხარეებს შორის შემდგომი თანამშრომლობა განხორციელდება წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე.

2.2. წინამდებარე მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეთა შორის ურთიერთფინანსურ ვალდებულებებს.

2.3. ურთიერთთანამშრომლობის ფინანსური წესები და პირობები იქნება ცალკე კონკრეტული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 3

3.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედია 1 წლის განმავლობაში.

3.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში *2025 წლის 30 ივლისს* ორ ეგზემპლიარად.

3.4. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის პროფესორი ყარამან ფაღავა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის ხელოვნური ინტელექტის პრობლემების განყოფილების უფროსი, აკადემიური დოქტორი - მაია მიქელაძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის მხრიდან

მისამართი: თბილისი, ლიუბლიანას 21
ტელ.: 599-50-72-89

Email: t.kutubidze@tsmu.edu

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თინათინ კუტუბიძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის მხრიდან

მისამართი: თბილისი, მინდელის ქ.#10
ტელ.: 599-51-21-28

Email: nkavlash@gmail.com

ინსტიტუტის დირექტორი

ნუგზარ ყავლაშვილი